

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი -
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და
შპს „MSZ GEORGIA“-ს შორის

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია წარმოდგენილი მისი რექტორის ირაკლი შარაბიძის სახით, (შემდგომში „აკადემია“) და მეორე მხრივ, შპს „MSZ GEORGIA“ (ს/კ 445403590), წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდია ჯაიანის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული როგორც „მხარეები“, ეყრდნობიან რა თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპს, შეთანხმდნენ შემდეგზე:

- მხარეები არ გაამყდავენებენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ასახულ ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეთა შორის იარსებებს სხვა შეთანხმება.
- მხარეები აცხადებენ, რომ მემორანდუმში ინფორმაციის ცნება მოიცავს ყველა დაწერილ საკითხს, ზეპირს ან სხვა მატერიალური და არამატერიალური ფორმით არსებულ ინფორმაციას;

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

1.1. წინამდებარე მემორანდუმის საგანი ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მხარებს შორის ურთიერთგაგებისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

1.2. შპს „MSZ GEORGIA“ უზრუნველყოფს აკადემიის სტუდენტთა პრაქტიკა/სტაჟირება/დასაქმებას, რაც გულისხმობს სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობით უზრუნველყოფას საჭიროებისამებრ.

1.3. შპს „MSZ GEORGIA“ სტაჟირების გასავლელად აიყვანს უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს და უზრუნველყოფს:

- პროფესიული უნარებისა და პრაქტიკული გამოცდილების შექმნისათვის პირობების შექმნას;
- უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვას;
- სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში განიხილავს მათი დასაქმების საკითხს;

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი.

- 2.1. პროფესიული განათლების განვითარება, ასაქმების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის უზრუნველყოფა კვალიფიციური /პროფესიული კადრებით.
- 2.3. მხარეთა მიზანია მრავლმხრივ შეუწყონ ხელი საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კადრების მომზადებასა და შემდგომ მათ დასაქმებას, რაც ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. მხარეები ვალდებული არიან

- მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია სტუდენტის მოსწრებისა და აქტიურობის შესახებ;
- დაიცვან საქმესთან დაკავშირებით გადაცემული დოკუმენტაციის კონფიდენციალურობა, არ გამოიყენონ აღნიშნული ინფორმაცია საკუთარი თუ მესამე პირების ინტერესებისათვის.
- დროულად და სწორად მიაწოდონ ინფორმაცია ერთმანეთს მემორანდუმის საგნიდან გამომდინარე;
- ვალდებული არიან ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და გონივრულ ვადებში შეასრულონ წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები;
- ვალდებულია დროულად და სრულად წარუდგინოს, გააცნოს და გადასცეს მხარემა ერთმანეთს მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, დოკუმენტები და მასალები ასლების სახით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დედნის სახით.

მუხლი 4. კონფიდენციალობა

- 4.1. მემორანდუმზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ არ გაუმჟღავნებენ ინფორმაციას და მხარეები დაიცავენ ერთმანეთის პროფესიულ რეპუტაციას შელახვისაგან.
- 4.2. კონფიდენციალობასთან დაკავშირებული პირობები ძალაში რჩება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ვადის გასვლის შემდეგაც.

მუხლი 5. მემორანდუმის მოქმედების და ვადა და შეწყვეტა

- 5.1. მემორანდუმი მოქმედებს 2019 წლის 11 დეკემბრიდან 2020 წლის 11 დეკემბრამდე;
- 5.2. მემორანდუმი აგრეთვე შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 5.3. მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მხარის მიერ წერილობითი მიმართვის საფუძველზე გაუქმებამდე 15(თხუთმეტი) დღით ადრე;

5.4. მემორანდუმის შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან მიიღონ შესაბამისი ღონისძიებები და დაასრულონ დაწყებული პროექტები

მუხლი 6. სხვა საკითხები

6.1. მემორანდუმში შესაძლებელია ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მხარეთა წერილობრივი შეთანხმებით. ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის ორმხრივი ხელმოწერის დღიდან.

6.2. მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ისარგებლებენ შემდეგი ელ. ფოსტებით:

info@bsma.edu.ge

info@msz.ge

სამსახურებრივი ელ.ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები, თავისთავად არის ელექტრონული ფორმით არსებული ოფიციალური დოკუმენტი. ისევე როგორც საჯარო დაწესებულების მიერ პრაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები და იგი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. მხარეებს შორის ელექტრონული მიმოწერის ამსახველი დოკუმენტაცია, დასახელებულ ელ. ფოსტებზე გაგზავნილი/მიღებული დოკუმენტები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მათთან ერთად

6.3. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე მემორანდუმი დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმოწერა პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება.

6.4. ურთიერთობები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


6.4. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

მუხლი 7. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო
საზღვაო აკადემია“
ს/კ 245427337
მისამართი: ქ. ბათუმი,

რეზიდენციის გამზირი №53
ტელ: 995 422 274850

რექტორი
ირაკლი შარაბიძე



შპს „MSZ GEORGIA“

ს/კ 445403590

მისამართი: ქ. ბათუმი,

ფიროსმანის ქ. №188

ტელ. 577 91 00 91



დირექტორი:
მინდია ჯაიანი

